



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

III კვარტალი

თბილისი

2018

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	-1
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	- 5
მედიაწარმოების ბლოკი	- 24
წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	- 31
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” არქივი	- 34
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 38
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 46
ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი	- 47

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ანგარიში

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში საპრეზიდენტო არჩევნები აქტიურ ფაზაში გადავიდა, რაც მაქსიმალურად აისახა *პირველი არხის* საინფორმაციო სამსახურის მუშაობაზე. გარდა ამისა, *პირველმა არხმა* საარჩევნო სუბიექტებს შესთავაზა პროექტი *საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ არხზე - ხედვა და დებატები*.

28 ოქტომბრამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მაყურებელს საშუალება ექნება, საპრეზიდენტო კანდიდატებს სამ სხვადასხვა ფორმატში გაეცნოს. დებატების განრიგი და რიგითობა შეთანხმდა საარჩევნო სუბიექტებთან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ შეხვედრაზე.

ახალ საეთერო სეზონს ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი ახალი პროგრამებით შეხვდა. *პირველი არხის* საღამოს ზოლს დაემატა პროგრამა *მომბე - დღის თემა*. დაიწყო ახალი ტელეპროგრამა *ნაშუადღევი*. ფორმატი შეეცვალა პროგრამას *აქტუალური თემა მკა ცინცაძესთან ერთად*. ცვლილებები შეეხო *საქართველოს რადიოს* პროგრამებს - *ღია სტუდია*, *საღამოს პიკის საათი* და *ჩვენი საქართველო*.

საანგარიშო პერიოდში აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე. ამავე დროს, გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული მოვლენა.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

პირველი არხი

- *მომბე - დღის თემა* - 17
- *აქტუალური თემა მკა ცინცაძესთან ერთად* - 11
- *კვირის ინტერვიუ* - 5
- *ახალი კვირა* - 8
- *42° პარალელი* - 8

რადიო პირველი არხი

- *ღია სტუდია* - 47 გადაცემა
- *საღამოს პიკის საათი* - 28
- *ესტაფეტა* - 38
- *ჩვენი საქართველო* - 12 გადაცემა
- *უფლება და თავისუფლება* - 15 გადაცემა
- *ეკომეტრი* - 12 გადაცემა

2. სიახლეები

2.1. არჩევნები

საანგარიშო პერიოდში პირველი არხის ინიციატივით, შეხვედრა შედგა ცესკო-ში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე 25 კანდიდატის წარმომადგენელთან. **პირველმა არხმა** საარჩევნო სუბიექტებს შესთავაზა პროექტი **საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ არხზე - ხედვა და დებატები**. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მაყურებელს საშუალება ექნება, საპრეზიდენტო კანდიდატებს სამ სხვადასხვა ფორმატში გაეცნოს.

პირველმა არხმა გადაწყვიტა, არჩევნებში მონაწილე 25-ვე კანდიდატიდან თითოეულს 10-წუთიანი დრო დაუთმოს. კანდიდატები 25 ოქტომბრამდე „მომხის“ მთავარ გამოშვებაში 21:30 საათზე 10 წუთის განმვალობაში შეძლებენ, ამომრჩეველს საკუთარი ხედვა გააცნონ.

გარდა ამისა, შედგება დებატები, ცხრა არაკვალიფიციურ სუბიექტსა და 16 კვალიფიციურ სუბიექტს შორის.

პირველი დებატები არაკვალიფიციურ სუბიექტებს შორის გაიმართება. დარჩენილ ორ კვირაში საკუთარ ხედვას ამომრჩეველებს კვალიფიციური სუბიექტები გააცნობენ.

ასევე პირველი არხი სთავაზობს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს, გამოიწვიონ ერთმანეთი დებატებში. კანდიდატების შეთანხმების შემთხვევაში, პირველი არხი მზად არის, დებატები ტექნიკურად უზრუნველყოს.



2.2. ახალი სეზონი

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა დაიწყო ახალი პროგრამა **ნაშუადღევი**. შემენცებით-გასართობი გადაცემა ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს 12:30-15:00 საათებში. გადაცემა მიზნად ისახავს მაყურებლის გართობას, პოზიტიური განწყობის შექმნას, ამასთან, აუდიტორიისთვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა სფეროდან, მათ შორისაა: კულტურა, მოდა, ტურიზმი, არქიტექტურა, თავის მოვლა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, კინო და ფოტოხელოვნება, ქალი ბიზნესში



და სხვ. გადაცემის მიზანია ახალი სახეების, საინტერესო ადამიანების აღმოჩენა და წარმოჩენა. გაშუქდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ცხოვრების რიტმი და სიახლეები.



განიხილავს.

სექტემბრიდან ასევე დაიწყო ახალი პროექტი **მოამბე - დღის თემა**. პროგრამა პირველი არხის ეთერშია ყოველ ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს, 22:00 საათზე. წამყვანი თამთა სანიკიძე **დღის თემას** სტუმრებთან ერთად

მაყურებელს საშუალება აქვს **მოამბეში** გასული მთავარი თემის გარშემო მიიღოს დამატებითი და ამომწურავი ინფორმაცია, გაიგოს მეტი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, მოისმინოს მხარეების არგუმენტები და შეფასებები. გადაცემის მიზანია მაყურებელს მიაწოდოს პასუხები საზოგადოებაში არსებულ ყველა მნიშვნელოვან კითხვაზე.

სექტემბერიდან შეცვლილი ფორმატით დაიწყო პროგრამა **ექტუალური თემა მკაცრი ცინცაძესთან ერთად**. პროგრამა პირველი არხის ეთერშია ყოველ პარასკევს, 22:00 საათზე.

გადაცემის კონცეფცია უკავშირდება დღის, ან მიმდინარე პერიოდის მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხს. გადაცემის მიზანია მნიშვნელოვანი და აქტუალური თემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციისა და არგუმენტების მიწოდება მაყურებლისთვის,



პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

სექტემბრიდან ირაკლი აბსანძის პროგრამამ *კვირის ინტერვიუ*- ხუთშაბათს გადაინაცვლა.

ცვლილებები შევიდა რადიო გადაცემებშიც. პროგრამების - *ღია სტუდია* და *საღამოს პიკის საათი* და *ჩვენი საქართველო* ქრონომეტრაჟი 25 წუთამდე შემცირდა, რაც ეთერის დინამიურობის გაზრდას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, ახალი სეზონიდან პროგრამა *ღია სტუდია* როტაციის პრინციპით მიყავს 5 წამყვანს.

3. გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემები

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები *მომხე 21:00 საათზე*, *აქტუალური თემა მკა ცინცაძესთან ერთად*, *კვირის ინტერვიუ*, *ახალი კვირა* და *42° პარალელი* გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება *საქართველოს რადიოს* ისეთ გადაცემებში როგორებიცაა *უფლება და თავისუფლება*, *ჩვენი საქართველო*, *ეკომეტრი*, *ღია სტუდია*, *საღამოს პიკის საათი* და სხვ.

ამავე მიმართულებით მუშაობს ინტერნეტ პროექტი *საინტერესო ადამიანები*.

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

ნამდვილი დრო (Настоящее Время) - *პირველი არხის* ეთერში ორშაბათი – პარასკევი, 07:30-08:00. ახალი ამბების რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა წარმოადგენს „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით.

ამერიკის ხმა - სექტემბრამდე *რადიო პირველი არხის* ეთერში ყოველ დღე, 20:05-ზე ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ მომზადებული 15-წუთიანი საონფორმაციო გამოშვებები გადიოდა ეთერში. აგვისტოში *ამერიკის ხმის* ქართულმა რედაქციამ შეწყვიტა რადიო მაუწყებლობა და მთლიანად ტელევიზიაზე გადაერთო.

მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

○ ცვლილებები ბადეში

2018 წლის ივლისში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი გადავიდა საზაფხულო პროგრამირებაზე. ივლის-აგვისტოს თვეებში ეთერში განთავსებული იყო სერიალები, მხატვრული ფილმები, აგრეთვე გასული სეზონის გადაცემების განმეორების ციკლი („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ „ფერმა“ „გურმანია“).

2018 წლის 17 სექტემბერს პირველმა არხმა დაიწყო ახალი სატელევიზიო სეზონი. გარდა გასულ სეზონზე არსებული გადაცემებისა, ეთერს დაუბრუნდა და შეემატა დილის და დღის ზოლის გადაცემები „ახალი დღე“ და „ნაშუადღევს“. დილის შემეცნებით-გასართობი გადაცემა ეთერში განთავსებულია 07:30-10:00 საათამდე, ხოლო, გადაცემა „ნაშუადღევს“ 12:30-დან 15:00 საათამდე.

ეთერში განთავსდა შემეცნებითი გადაცემების ციკლი, აკა მორჩილაძის „იონას საქართველო“, რომელიც ყოველ კვირას 22:30 საათზე არის განთავსებული 1 არხის სამაუწყებლო ბადეში.

სექტემბრიდან მოამბის ცენტრალურ გამოშვებას, კვირაში სამჯერ, დღის აქტუალური თემის გაშლით დაემატა სტუმრის ნაწილი, რომელსაც თამთა სანიკიძე უძღვება.

ამასთანავე, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, დაგეგმილ წინასაარჩევნო დებატების გარდა, სექტემბრიდან მოამბის ცენტრალურ გამოშვებაში ყველა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სუბიექტს დაეთმო საეთერო დროის 10 წუთი, სადაც მათ ეძლევათ საშუალება ამომრჩევლამდე თავიანთი ხედვები და პოზიციები უკეთ მიიტანონ და გააცნონ.

ეთერში 2018-19 წლების სატელევიზიო სეზონზე ეთერში დაბრუნდნენ შემდეგი გადაცემები:

1. „მარტივი ლოგიკა“ (ორშაბათი- სამშაბათი 20:00)
2. ტელე-თამაში: „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?!“
3. „წიგნების თარო“- (ხუთშაბათი-პარასკევი 20:00)
4. „პირადი ექიმი“- (ორშაბათი-პარასკევი 10:10)
5. „რეალური სივრცე“- (შაბათი 18:30)
6. „ახალი კვირა“ (კვირა 21:00) (გამეორება იმავე ღამეს)
7. „42-ე პარალელი“ (შაბათი 21:30)
8. „კვირის ინტერვიუ ირაკლი აბსანძესთან ერთად (ხუთშაბათი 22:00სთ)
9. „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ (პარასკევი 22:00 სთ.)
10. „აკუსტიკა“ (ოთხშაბათი 22:30) (გამეორება კვირას 19:00)

11. „კაცები“ (ოთხშაბათი 23:30) (გამეორება კვირას 15:20)
12. "ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ"-კვირა 18:20
13. "ფერმა"-კვირას 12:15
14. "ილუზიონი"-კვირა 23:00
15. "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად"(პარასკევი 22:00)
16. "კვირის ინტერვიუ"-ირაკლი აბსანძე-(ხუთშაბათი 22:00)
17. ეროვნული ლიგის მიმოხილვა (ოთხშაბათი-00:00)

ორი მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიების ტრანსლირება მოხდა სექტემბერში, ესაა:

1. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გახსნა.
ტრანსლაცია ბათუმიდან 23 სექტემბერს.

2. ფიფა-ს ეგიდით 2018 წლის საუკეთესო ფეხბურთელის და სხვა ნომინაციებში გამარჯვებულების დაჯილდოება. პირდაპირი რეპორტაჟი ლონდონის სამეფო საფესტივალო დარბაზიდან ტრანსლაცია შედგა 24 სექტემბერს.

o მარკეტინგის სამსახური

წარმატებით განხორციელდა „fifa world cup 2018“ ტრანსლირება პირველ და მეორე არხებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა იმ პერიოდის სარეიტინგო მაჩვენებლები. გარდა ამისა, ჩემპიონატთან დაკავშირებით არხზე მიმდინარე ვიქტორინის ფინალური გადაცემა დაიგეგმა და ეთერში გავიდა განსაკუთრებული ფორმატით.

მესამე კვარტლის განმავლობაში მარკეტინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ახალი ეთერის დაგეგმვაში.

აქტიურად განხორციელდა ახალი ეთერის პრომოუშენი სხვადასხვა პლატფორმაზე.

ასევე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილების დამუშავება და უკუკავშირის განხორციელება, მათთან საპასუხო კომუნიკაციის, შეხვედრისა და გაშუქების გზით.

საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, მიმდინარე ღონისძიებების პარტნიორულ თუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ამერიკის საელჩოსგან მოიპოვა ორი გრანტი, სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად.

o კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება “*public matters*”-ების საშუალებით (პროგრამა „*infasye*”).

ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, მზადდება სარეიტინგო მასალა. ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, გადაცემების აუდიტორიის განაწილება დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, ანალიზდება კონკურენტული გარემო, მიმდინარეობს კონსულტაციები.

კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2018 წლის სეზონის მექანიკური პროდუქციის (მხ.ფილმები, მხ.სერიალები, დოკ.სერიალები) შერჩევის პროცესში. პროცესი გულისხმობს მსოფლიოს მსხვილი მწარმოებლების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის შესწავლას, განხილვას და შეფასებას.

ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) წევრობა გვავალდებულებს ყველა საერთაშორისო პროექტის ჩვენების შემდეგ გავაგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები. EBU-ს მოთხოვნის შესაბამისად (საშუალო რეიტინგი, ბაზრის წილი, ერთწუთიანი და თხუთმეტწუთიანი მოცვა. აუდიტორია ასაკობრივ და დემოგრაფიულ ჭრილში), მომზადდა და გაიგზავნა „უეფას“, „ერთა ლიგის“ მატჩების სარეიტინგო მონაცემები.

მომზადდა პროექტი, პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საინფორმაციო გადაცემების წინასაარჩევნო მონიტორინგის წარმოებისთვის .

„რადიო პირველი არხის“ ბაღე მომზადდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით. პროგრამული მიმართულებები; ბაღეში მათი გადანაწილების პროპორცია; დროის სლოტების სიდიდე. ყოველივე ეს, ბაღეში გადანაწილდა რადიომსმენელების მოთხოვნების და ქცევის გათვალისწინებით, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც გვიჩვენა მაუწყებლის მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ. კვლევის მონაცემებმა საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა დროის ზოლები, სამიზნე ჯგუფების მიხედვით. ბაღეში, ასევე, აისახა არსებული რეალობა ემპირიული დაკვირვების საფუძველზე.

o სარეკლამო სამსახური

ივლისი 2018

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ „ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის“, „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი“ „წყალბურთში ევროპის ჩემპიონატის“ „ფრენბურთში ქალთა ევროპის ჩემპიონატის“, უეფას ჩემპიონთა ლიგის 1 შესარჩევი ტურის საკვალიფიკაციო მატჩების სასპონსორო და კომერციული რეკლამის განთავსების პირობები. მომსახურეობა გავუწიეთ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის, ფეხბურთში საერთაშორისო ამხანაგური მატჩების და კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ტრანსლაციებს.
- მომსახურეობა გაეწია სოციალურ და კომერციულ რეკლამებს.

აგვისტო 2018

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი“ „ფრენბურთში ქალთა ევროპის ჩემპიონატის“, „უეფას ერთა ლიგის“ მატჩების სასპონსორო და კომერციული რეკლამის განთავსების პირობები.
- მომსახურეობა გაეწია სოციალურ და კომერციულ რეკლამებს.

სექტემბერი 2018

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი“, „უეფას ერთა ლიგის“ მატჩების სასპონსორო და კომერციული რეკლამის განთავსების პირობები. მომზადდა, ახალი გასართობი გადაცემების სასპონსორო შეთავაზებები, წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის განთავსების, განაწილების და მომსახურეობის წესები.
- მომსახურეობა გაეწია სოციალურ, პოლიტიკურ და კომერციულ რეკლამებს. პოლიტიკური რეკლამების განთავსების და მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ვებ-გვერდზე, აღნიშნული ყოველკვირეულად გაეგზავნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.

ივლისი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		31 063,82

ჯამი:	31 063,82
--------------	------------------

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „შანსი მეგა თრეიდ კომპანი“	70 000,00	
შპს „ბესტჰაუსი“	58 200,00	
შპს პრომედია	39 375,00	
შპს მარსი, შპს ტვ11	15 000,00	
სს „ლომისი“	40 400,00	
შპს „ბეთერფლაი“	24 525,00	
შპს „ედკორპორაცი“	8 750,00	
შპს „ფორმულა პროესკო“	6 400,00	
შპს „მარსი“ შპს „ტვ11“	17400,00	
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისის		1 908,00
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		16 099,20
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		13 446,00
შპს „ომეგა“		2187,50
შპს „ატა ჯგუფი“		14 400,00
შპს „პანორამა“		43 654,00
შპს „ბესტჰაუსი“		7 451,05
ჯამი:	265 050,00	99 145,75

აგვისტო 2018

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
სსიპ აწარმოე საქართველოში		1 810,80
ააიპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვ. სააგენტო		2 689,20
ჯამი:		4 500,00

სექტემბერი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „ინტელიჯენტ მედია“		2 500,00
შპს „კრეატივ მედია“	4 480,00	
ჯამი:	4 480,00	2 500,00

რადიო		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
საქ. ეკონომიკის და მდგ. განვით. სამინისტრო		962,50
ჯამი:		962,50

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „მარსი“ შპს „ტვი11“	5 000	
სსიპ აწარმოე საქართველოში		417,60
ააიპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვ. სააგენტო		5 757,22
საქ. ეკონომიკის და მდგ. განვით. სამინისტრო		2 173,86
საქართველოს საარჩევნო კომისია		3 332,94
ჯამი:	5 000	11 681,62

მომზადდა ახალი სეზონის გასართობი გადაცემების სასპონსორო შეთავაზებები, წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების და მომსახურების წესები.

პოლიტიკური რეკლამის განთავსების და მომსახურების შესახებ ინფორმაცია ყოველკვირეულად გაეგზავნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ სააგენტოს.

მომსახურება გაეწიათ სოციალურ, პოლიტიკურ და კომერციულ რეკლამებს.


მესამე კვარტალში, სატელევიზიო კომერციული რეკლამის საბარტერო მომსახურების ღირებულებამ შეადგინა **33 563 ლარი და 82 თეთრი და 4 480 აშშ დოლარი** დღ-ს ჩათვლით. სატელევიზიო რეკლამის ღირებულებამ- **115 327 ლარი და 37 თეთრი და 270 050 აშშ დოლარი** დღ-ს ჩათვლით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე ოფ პრაიმში კომერციული რეკლამის ფასების შემუშავებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევითი სამუშაოები.

იგეგმება 2019 წლის სარეკლამო გაყიდვების სტანდარტების შემუშავება.

○ მივლინებები

2018 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბრის თვეების განმავლობაში მომზადდა 250 სამივლინებო განაცხადი, აქედან შესყიდული იქნა 45 ავიაბილეთი, 511 თანამშრომლისთვის სასტუმრო ნომერი და მატარებლის 5 ბილეთი.



○ ვიზუალური გაფორმების ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ვიზუალური გაფორმების სამსახურმა იმუშავა მიმდინარე თუ ახალ პროექტებზე. დამზადდა პრომოები და ანონსები ყველა გადაცემისთვის, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა და სერიალებისთვის, ახალი პროექტებისა და ღონისძიებებისთვის, მათ შორის, დიდი სპორტული ტრანსლაციებისთვის. შეიქმნა და განხორციელდა ვიზუალური გაფორმების ახალი კონცეფციები. დამზადდა ახალი სატელევიზიო სეზონისთვის არხის შეფუთვა. დაიწერა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრომოსა, თუ ანონსის ტექსტი. შემუშავდა ონლაინ პლატფორმისთვის გადაცემების ბანერების დიზაინი და შესრულდა სხვადასხვა სახის გრაფიკული სამუშაო, მიმდინარე გადაცემებისა თუ დროებითი პროექტებისთვის.

საერთო ჯამში დამზადდა :

პროდუქტი	რაოდენობა
პრომო	31
ტიხარი	75
ანონსი	96
საეთერო ტიხარი	3
ფონი	16
მიკრო ფილმი	15
ტიტრის დაფა	5
ლოგო	4
ბანერი	36
ქუდი	5

ჯგუფის მიერ მომზადებული ანონსები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://1tv.ge/show/anonsebi/?tab=video&video_category=0

o **მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური**

მესამე კვარტალში, მზა პროდუქციის შესყიდვისა და გახმოვანების სამსახურმა გააფორმა ხელშეკრულებები და შეისყიდა შემდეგი პროდუქცია:

სერიალი „ექვსი და“, მე-3 და მე-4 სეზონები ესპანური კომპანიისგან „Mediaproduccion S. L. U.“;

ხუთი იტალიური სერიისგან შემდგარი პაკეტი კომპანიისგან „RAI Com S. P. A.“;

სერიალი “დიდი ძარცვა“ ბრაზილიური კომპანიისგან „Globo Comunicacao e Participacoes S. A.“;

კიდევ ერთი წლით გაგრძელდა ხელშეკრულება ბრიტანულ კომპანია „Audio Network Limited“-თან გადაცემების გაფორმებისთვის საჭირო მუსიკალური კომპოზიციების სინქრონიზაციის უფლებაზე;

დაიწყო მოლაპარაკება ბრიტანულ კომპანია „BBC Studios“-თან დოკუმენტური ფილმებისა და ორი სერიის შესყიდვის შესახებ;

მიმდინარეობდა და დასრულების პროცესშია ხანგრძლივი მოლაპარაკება ამერიკულ კომპანია “Paramount”-თან ფილმების პაკეტისა და ერთი სერიალის შესყიდვის შესახებ;

შესყიდული პროდუქციის უმეტესი ნაწილი უკვე მიღებულია და მიმდინარეობს გახმოვანება.

მუდმივად ხდებოდა ეთერისათვის ქართული ფილმების შესყიდვა.

„UEFA“-თან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, გაფორმდა ხელშეკრულებები ფეხბურთში 2020 წლის ევროპის ჩემპიონატისა და შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრების საკვალიფიკაციო, ერთა ლიგისა და ამხანაგური მატჩების შესყიდვის შესახებ.

ხდებოდა უკვე არსებული ხელშეკრულებების მიხედვით აღებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება როგორც ტელეპროდუქციის, ასევე სპორტის მიმართულებით.

აქტიური მოლაპარაკება მიდის რამდენიმე მსხვილ კომპანიასთან მომავალი სეზონისთვის სატელევიზიო ფორმატების შესყიდვის შესახებ.

გახმოვანების ჯგუფმა 2018 წლის მესამე კვარტალში გაახმოვანა მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, აგრეთვე მხატვრული სერიალები და ანიმაცია.

დასრულებული სახით (პოსტპროდუქციის ჩათვლით) შესრულებულია **304** საათი.

ივლისში გახმოვანდა 133 სთ, აგვისტოში - 77 სთ, სექტემბერში - 94 საათი.

პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმებისა და ანიმაციის გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი. ანიმაციურ სერიალ „ელვინი“-ს ხმები, როგორც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, შეთანხმდა თავად კომპანია “PGS Entertainment” -თან. სერიალი გახმოვანებულია ოთხ ხმაში.

მიმდინარეობს ინტენსიური მზადება კანის საერთაშორისო ბაზრობისათვის MIPCOM 2018.

- **ონლაინ მედია**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - 1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიო გადაცემების ატვირთვა, ასევე, დამოუკიდებელი ვებპროექტების.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, პირველი არხი გეგმავს საარჩევნო სუბიექტებს შესთავაზოს ამომრჩეველთან კომუნიკაციის დამატებითი საშუალება.

პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება პირველი არხის ვებ-გვერდზე 1tv.ge, სახელწოდებით „რა უნდა ვიცოდეთ პრეზიდენტობის კანდიდატზე?!“ გაცნობიერებული არჩევანის გასაკეთებლად, ამომრჩეველს მივაწვდით კანდიდატის საარჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებების შესახებ მოკლე ინფორმაციას.

კანდიდატების ონლაინ პრეზენტაციების გამოქვეყნების შემდეგ, ამომრჩეველს შესაძლებლობა ექნებათ დასვან სასურველი კითხვა.

ამჟამად მიმდინარეობს საიტის ტესტირება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):

21,21% - ვიზიტი საიტზე;

11,9% - უნიკალური მომხმარებელი.

საიტის სტატისტიკა

III კვარტალი 2018	II კვარტალი 2018
ვიზიტი საიტზე - 5,830,322	ვიზიტი საიტზე - 4,809,898
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში)- 4,351,704	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში)- 3,889,198
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 63,373	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 53,443


მაქსიმალური მაჩვენებელი - 204,000 (15 ივლისი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 136,163 (16მარტი, 2018)
---	---

იუთუბ არხების სტატისტიკა

III კვარტალი 2018	II კვარტალი 2018
ნახვა - 15,311,813	ნახვა - 15,935,365
საშუალოდ დღეში ნახვა - 251,013	საშუალოდ დღეში ნახვა - 261,236
მაქსიმალური მაჩვენებელი - 256,862 (16 ივლისი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 309,410 (13 მაისი, 2018)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთ-ერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

ვიზიტები YouTube-არხებზე




ტოპ20 პოსტი საიტზე

III კვარტალი

დავით სერგეენკო - კომპარულ სიზმარშიც არ მიზნა წარმოვიდგინო მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქირურგი, მასწავლებელი ან ავიადისპეტრერი - 1TV	23,798 (0.41%)
TV რადიო - 1TV	22,345 (0.38%)
მსოფლიო - 1TV	21,478 (0.37%)
ხადას ხეობაში მკვლელობაში ბრალდებული - სმიტების ოჯახი მე არ დამიხოვავს, ორმა უცხოელმა დახოცა და დამემუქრნენ [ფოტო, ვიდეო] - 1TV	21,458 (0.37%)
სერგეი შამბა - თუ ვითარება არ გამოსწორდება, მოგვიწევს, მუხლებზე დავდგეთ და საქართველოს ან რუსეთს თავიანთ შემადგენლობაში მიღება ვთხოვოთ - 1TV	20,575 (0.35%)
ადვოკატი დავით გირგვლიანი - აღარ ვაგრძელებ ხადას ხეობაში სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებული მალხაზ კობაურის დაცვას - 1TV	19,662 (0.34%)
საფრანგეთი - ხორვატია #LIVE - 1TV	17,238 (0.30%)
Latest News - 1TV	17,032 (0.29%)
როგორ მიაქვს ადიდებულ მდინარეს სარეალიზაციოდ გამზადებული ხე-ტყე [ფოტო] - 1TV	15,668 (0.27%)
საქართველოს ხუთმა მოქალაქემ იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის მშობლების სახლი გაქურდა - 1TV	15,308 (0.26%)
დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა აშშ-ს თავდაცვის ავტორიზაციის აქტს, რომელშიც საქართველო მიჩნეულია როგორც აშშ-ს მოკავშირე და პარტნიორი - 1TV	14,985 (0.26%)
ანაკლიის ფესტივალიდან საავადმყოფოში სამი ახალგაზრდა გადაიყვანეს, რომელთაგან ერთი გზაშივე გარდაიცვალა - 1TV	14,437 (0.25%)
გადაცემები - 1TV	14,418 (0.25%)
მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის კალენდარი - 1TV	13,597 (0.23%)
ჩაქვი-ქობულეთის გზაზე ავარიისას დაშავებული ჩვილები საავადმყოფოში გარდაიცვალნენ - 1TV	13,554 (0.23%)
საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანას მოხმარებაზე ყველა სანქცია გააუქმა - 1TV	13,273 (0.23%)
მამუკა ბახტაძემ ანგელა მერკელს დრეზდენის მუზეუმიდან 1945 წელს დაკარგული ტილო გადასცა - 1TV	12,864 (0.22%)
სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატი - ორი უცნობი მამაკაცი, რომლებზეც მალხაზ კობაური საუბრობდა, ჩრდილოკავკასიელებს გაგდნენ - 1TV	12,409 (0.21%)
ავტომანქანების სავალდებულო ტექდათვალიერების უფასო ცხელი ხაზი ამოქმედდა - 1TV	11,961 (0.21%)
მარტივი ლოგოვა - 1TV	10,658 (0.18%)

მომხმარებლის დემოგრაფია და ინტერესები




ვიზიტების გეოგრაფია

Country ?	Acquisition	
	Users ? ↓	New Users ?
	1,177,929 % of Total: 100.00% (1,177,929)	900,520 % of Total: 100.13% (899,369)
1. Georgia	935,692 (78.54%)	694,391 (77.11%)
2. Russia	26,471 (2.22%)	21,784 (2.42%)
3. United States	26,213 (2.20%)	20,608 (2.29%)
4. France	25,123 (2.11%)	23,049 (2.56%)
5. Germany	17,591 (1.48%)	12,729 (1.41%)
6. Turkey	17,502 (1.47%)	13,107 (1.46%)
7. Italy	16,832 (1.41%)	11,754 (1.31%)
8. Greece	14,120 (1.19%)	10,091 (1.12%)
9. Peru	11,654 (0.98%)	11,496 (1.28%)
10. Slovenia	8,581 (0.72%)	8,552 (0.95%)

მოწყობილობები და წვდომის წყაროები

Device Category ?	Acquisition	
	Users ? ↓	New Users ?
	1,177,929 % of Total: 100.00% (1,177,929)	900,520 % of Total: 100.13% (899,369)
1. mobile	819,327 (69.43%)	642,201 (71.31%)
2. desktop	334,984 (28.38%)	238,357 (26.47%)
3. tablet	25,846 (2.19%)	19,962 (2.22%)




ფეისბუქის სტატისტიკა

პირველი არხი, ჯამში, აერთიანებს 30-ზე მეტ ფეისბუქის გვერდს. გთავაზობთ, ყველაზე აქტიური 27 გვერდის საერთო სტატისტიკას.

ახალი	მომხმარებელი	-	100	378
უნიკალური	მომხმარებელი	-	254	000




მომხმარებლების გენდერი ყველა გვერდზე



მომხმარებლების

ასაკი















like-ების

მიხედვით

Top

6

გვერდი

Page	Total Page Likes
YOU 1  პირველი არხი	227.8K 
2  წიგნების თარო	79.4K 
3  გურმანია • Gurmania	48.9K 
4  ხარ თუ არა მეექვსე კლა...	41.2K 
5  რეალური სივრცე	35.6K 
6  პირველი არხი • სპორტი	35.3K 

ვიდეობის ნახვები ყველა გვერდზე ბოლო სამ თვეში

📅 Jul 1, 2018 – Sep 30, 2018 ▼



The following metrics have incomplete data for the period before the date range you selected:
 • Engagement data is available starting from Jun 1, 2018.

13.5M

3-Second Video Views

696.3K

Engagement

14.9M

Minutes Viewed

44.3K

Net Followers

Top 10 გვერდი ვიდეოების ნახვების მიხედვით

Logo	Channel/Show Name	Views	Subscribers
	პირველი არხი Broadcasting & Media Production Company	8.3M	303.3K
	ანალი კვირა TV Show	2.4M	90.9K
	აქტუალური თემა მაკა ცინდაპოსთან ერთად TV Show	779.9K	32.8K
	პირველი არხი • სპორტი TV Network	651.1K	14.8K
	პირადი ეკიმი - მარი მალაზონია/piradi ekimi - mari malazonia TV Show	522.8K	45.8K
	რეალური სივრცე TV Show	396.8K	21.3K
	აკუსტიკა • Acoustics TV Show	388.9K	54.2K
	ზარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი TV Show	379.7K	35.4K
	წიგნების თარო TV Show	288.2K	37.1K
	ნაშუადღევს / Nashuadgevs TV Show	230K	11.7K

პირველი არხის გვერდი

Like - სტატისტიკა მზარდია. სულ 227 806 მოწონება

- სამომავლო გეგმები

დაწყებულია:

- მომავალი წლის ბიუჯეტირება
- სამაუწყებლო ბადე/ ანალი პროგრამები

შემუშავების ეტაპზეა შემდეგი დოკუმენტები:



1. გაყიდვების სტრატეგია
2. ბრენდ-ბუქი
3. ტექნიკური გავრცელების გაიდი
4. მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგია

მედიაწარმოების ბლოკი

ტელეპროექტები, რადიო, ტელეფილმები

ტელე პროექტები - მედია წარმოება

2018 წლის მესამე კვარტალში ტელე პროექტების (მედია წარმოების მიმართულება) სტატისტიკური მონაცემები:



მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - ტელეპროექტების მიმართულებით

ახალი დღე - 2 წლიანი პაუზის შემდეგ პირველი არხის საელთერო ბადეს დაუბრუნდა დილის გასართობ შემცენებითი ჟანრის გადაცემა. გადაცემა ახალი შემადგენლობით და ახალი ფორმატით ყოველ დილას 7:30 დან 10:00 მდე პირველი არხის მაყურებლის ინფორმირებასა და გართობაზე იქნება ორიენტირებული. პროგრამა აგებულია ექსკლუზივებზე, პრემიერებზე, სიახლეებზე. აქტუალური თემები განიხილება სტუმრებთან ერთად. გადაცემას ყოველ დილას ეყოლება 2-3 სტუმარი. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რეგიონს, ოქროს ფონდს, ექსტრიმს, ახალ წიგნებს, ხელოვნებას, სპორტს. ნებისმიერი სიახლე მაყურებელს მიეწოდება ექსკლუზიურად. ნებისმიერი ასაკისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენელი ყოველი სამუშაო დღის დაწყებამდე შეიტყობს მისთვის საინტერესო ინფორმაციას. 08.00 და 09.00 სთ-ზე პროგრამაში ერთვება მოამბე დღის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინფორმაციით.

საქართველოს ვარსკვლავი – პირველ არხზე ახალი მუსიკალური მეგა-შოუ იწყება. პროექტის გამარჯვებული საქართველოს 2019 წლის „ევროვიზიაზე“ წარადგენს. ცნობილი ამერიკული შოუს ქართული ანალოგი მზადების პროცესშია. მაყურებელს იანვრიდან 9 საკონცერტო ტური ელოდება.

რანინა - წინასწარმო სამზადისი დაიწყო მუსიკალურმა პროექტმა რანინა. ისევე წინა სეზონზე, პროექტის გამარჯვებული საქართველოს 2019 წლის საბავშვო „ევროვიზიაზე“ წარადგენს.

მარტივი ლოგიკა - ყოველ ორშაბათს და სამშაბათს საღამოს 20:00 საათზე პირველი არხის ეთერში გაგრძელდა გეიმ შოუ „მარტივი ლოგიკა“ რომელიც საერთაშორისო პროექტის ანალოგია. ისევე როგორც გასულ სეზონზე, თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვინც ჩათვლის რომ არის სხარტი, აზარტული და აქვს საკმარისი ლოგიკა იმისთვის, რომ მოიგოს თანხა. ასევე გადაცემა გეგმავს მარკეტინგულ აქტივობებს - საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტს. გადამღები ჯგუფი კვირაში ერთხელ სხვადასხვა ქალაქში და ლოკაციაზე ჩაატარებს მინი გათამაშებებს და ჩვეულებრივ მოქალაქეებს საშუალებას მისცემს ითამაშონ „მარტივი ლოგიკა“ და მოიგონ პრიზები. გაგრძელდება ასევე გადაცემა მარტივი ლოგიკის მობილური აპლიკაცია, რომელიც უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მობილური თამაშში თვეში ერთხელ იგეგმება განახლებები, ახალ ეტაპებისა და გათამაშებების სახით.

ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი - პირველ არხზე გრძელდება „მეტრო გოლდვინ მეიერის „ პროექტი „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“. გადაცემა ყოველ ოთხშაბათს საღამოს რვა საათზე გავა ეთერში და მაყურებელს ქვეყნის საუკეთესო მეექვსეკლასელებს გააცნობს. გადაცემის სტუმარები კი, რომლებიც ყველასათვის კარგად ნაცნობი სახე იქნებიან, ითამაშებენ იმ ბავშვებისათვის და სკოლებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ საზოგადოების გვერდში დგომა. გადაცემა შეინარჩუნებს ინტერაქციას მაყურებელთან და ახალი სეზონის განმავლობაში არაერთ სიახლეს შესთავაზებს მათ. ისევე როგორც გასულ სეზონზე ამ ეტაპზე, პროექტის მთავრი მიზანი იქნება აღმოაჩინოს გამორჩეული ნიჭის და უნარების მქონე სკოლის მოსწავლეები, მისცეს მათ ფართო საზოგადოების წინაშე თავის გამოჩენის საშუალება, გახადოს ისინი სამაგალითოები და ამ გზით მოახდინოს სწავლის პროპაგანდა / მოსაწვლეების მოტივირება. დღეს გასული სეზონის ფარგლებში შერჩეული მონაწილეები მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ მათ თანატოლებში. სწორედ ამიტომ ათასობით მოსწავლე უკვე ემზადება და ელოდება პროექტის ქასთინგს, რომელიც 18 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება და გამოავლენს საუკეთესო მეექვსეკლასელებს, რომლებიც შეეცდებიან ყველას დაუმტკიცონ, რომ ცოდნა ცვლის მომავალს.

პირადი ექიმი - მარი მალაზონია - `20 წელზე მეტი ერთად პირველ არხზე, 10 წელზე მეტი ყოველდღე პირდაპირ ეთერში ~ 17 სექტემბრიდან ამ სიტყვებით დაიწყო ახალი სატელევიზიო სეზონი „პირადმა ექიმმა - მერი მალაზონიამ“, გადაცემა, რომელიც ადამიანს ეძღვნება და საზოგადოებაში კვლავ აგრძელებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ახალი რუბრიკები, პროექტები, კამპანიები და აპლიკაციები, მაყურებლის ჩართულობით, გადაცემის ფორმატის ფარგლებში და ფეისბუქზე.

რეალური სივრცე - ახალი სეზონიდან კვლავ ეთერში დაბრუნდა რეალური სივრცე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და სოციალური თემით, რომლის მთავარი ღერძი კვლავ ადამიანია, თავისი პრობლემით, დილემით და ცხოვრებით "რეალურ სივრცეში". ტოქ-შოუმ "რეალური სივრცე" 17 სექტემბრიდან დაიწყო მაუწყებლობა და ყოველ შაბათს გადის ეთერში. სექტემბრის ბოლოდან ასევე განახლდა "რეალური სივრცის" ვებ-ეპიზოდებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელზე.

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ - ტელეეთერში მესამე სეზონით დაბრუნდა, ზურა ყიფშიძესთან ერთად, კვლავ ვაგრძელებთ ქართველი მსახიობების, რეჟისორების, მოქანდაკეების და ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენლების გახსენებას. შეიცვალა ეთერში გასვლის დრო, "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" ტელემაყურებელს ახალ გადაცემებს, ყოველ კვირას, საღამოს, შვიდის ნახევარზე შესთავაზებს.


წიგნების თარო - ახალ საეთერო ბადეში ჩაეშვა წიგნების თაროს მეხუთე სეზონი. “წიგნების თარო” კვლავ განსაკუთრებულად გამოირჩევა ეთერს მიღმა აქტივობებით და სხვადასხვა კამპანიებით. გადაცემა ყოველთვის უჭერს მხარს ისეთ კამპანიებს, რომლებიც ახალგაზრდებში წიგნიერების და დასავლური ფასეულობების პოპულარიზაციას ემსახურება. “წიგნების თარო” აგრძელებს მუშაობას პრომოუშენისა და მარკეტინგის ისეთ წარმრთვაზე, რომელიც ბრენდის გაძლიერებაზე, მისი ცნობადობის გაზრდასა და დადებითი იმიჯის შექმნაზე იქნება ორიენტირებული.


ფერმა - განახლებული სატელევიზიო სეზონით დაიწყო მაუწყებლობა გადაცემამ „ფერმა“. სატელევიზიო ჟურნალ „ფერმის“ მისია კვლავ უცვლელია და იგი ვლავ აგრძელებს საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, სამიზნე აუდიტორიისთვის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება, საზღვარგარეთულ გამოცდილებასა და ტექნოლოგიურ სიახლეებში ინფორმირება, საკანონმდებლო ცვლილებების და ახალი რეგულაციების გაცნობა. მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტიდან გამომდინარე სოფლად მცხოვრები რიგითი ადამიანების (ფერმერების და გლეხების) ცხოვრების სტილის და პრობლემების გაშუქება.

ცვანციკას გაკვეთილები - კვლავ გრძელდება ვებ პროექტი „ცვანციკას გაკვეთილები“ წარმოება. პროექტის მიზანია ეროვნული გამოცდების მათემატიკის გამოცდისთვის მოზარდების მომზადება . პროექტის ავტორი და წამყვანი გოგა ლაზრიშვილი მათემატიკოსია , რომელსაც ჩატარებული აქვს 7000 გაკვეთილი და 400 ლექცია . მოზარდებისთვის შემუშავებული სპეციალური კურსით. ის მათემატიკის საფუძვლებიდან იწყებს ახსნას და სწორედ იმ საკითხებზე აკეთებს აქცენტს , რომელიც მოცემულია ეროვნული გამოცდების ტესტებში. ფეისბუქ გვერდის დახმარებით ყველა მაყურებელს შეუძლია, მოგვწეროს და დასვას შეკითხვა გაურკვევლობის შემთხვევაში , რომელზეც ავტორი უმოკლეს დროში პასუხობს. კამპანიურობისა და პრომოუშენის თვალსაზრისით დაგეგმილი გვაქვს ჩვენი აქტიური მაყურებლებისთვის ტესტების შეთავაზება და საუკეთესოებისთვის სიმბოლური დიპლომების გადაცემა .

ტელევიზიების მიმართულება

2018 წლის მესამე კვარტალში ტელევიზიების სტატისტიკური მონაცემები :





მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - ტელეფილმების მიმართულებით

ტელეფილმები ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურულ ერთეულად, რომელიც პორდაპირ ექვემდებარება გენერალურ დირექტორს.

ამ ეტაპზე ტელეფილმში მიმდინარე პროექტებია:

ინტერაქტივი დელფინარიუმი - ფილმი მოგვითხრობს დელფინების ფენომენზე, მათ გასაოცარ თვისებებზე, ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან განსხვავებულ უნარებზე. ფილმის ძირითად დრამატურგიულ ღერძს წარმოადგენს აუტისტური სპექტრით დაავადებული ბავშვების ურთიერთობა დელფინებთან, საოცარი ფსიქოთერაპიული ეფექტი, რასაც იძლევა ცოცხალი კონტაქტი ასეთ ბავშვსა და დელფინს შორის.

ფილმის სიუჟეტი განვითარდება ბათუმის დელფინარიუმის ბაზაზე, საარქივო მასალის გამოყენებით ვაჩვენებთ მის პირვანდელ სახეს, როგორ იყო დაგეგმილი შენობა, რაში გამოიხატებოდა მისი უნიკალურობა და რა სისტემით მუშაობდა. როგორია დღეს, რატომ და როგორ მოხდა მისი რეკონსტრუქცია.

შალვა ნუცუბიძე (ინტერაქტივი) - ფილმში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებლის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის შალვა ნუცუბიძის რთული, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები: სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობის წლები რუსეთსა და გერმანიაში, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა, მარქსიზმის იდეოლოგიის უარყოფის ბრალდებით დაპატიმრება, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანზე მუშაობა, კრემლში სტალინთან შეხვედრა, „ადმოსავლური რენესანსის“ იდეით გატაცება, მორიგი რეპრესიები, კვლავ რეაბილიტაცია და ა.შ. სიცოცხლის ბოლომდე.

სტოქსი - პროექტი ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო კონტინგენტის ყოფნას საქართველოში. პროექტი მომზადდება დოკუმენტურ-ანიმაციურ ჟანრში, სადაც გამოყენებული იქნება: საარქივო ვიდეო და ფოტო მასალა, დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს არქივებსა და საქართველოს პერიოდულ გამოცემებში მოძიებული მასალა, ასევე მხატვრული დადგმითი სცენები მსახიობების მონაწილეობით. ძირითადი აქცენტები: დიდი ბრიტანეთის სპეციალური კომისარი

ამიერკავკასიაში პოლკოვნიკი კლოდ ზოზ სტოქის ცხოვრება და მოღვაწეობა ტფილისში; სტოქის ფიგურებიდან გამომდინარე დიდი ბრიტანეთის მიერ გატარებული პოლიტიკა ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში. იმ პერიოდის ტფილისის ცხოვრება; ინგლისელებთან დაკავშირებული ისტორიები ტფილისსა და ზოგადად საქართველოში.

უშგული - სვანეთის სხვადასხვა სოფლები ტურისტებისათვის საინტერესო გახდა, უამრავ ტურისტმა მაშინვე შეცვალა საზოგადოება, შეცვალა კულტურა, ტრადიციები, ცხოვრების აზრი, მენტალობა, შეცვალა ის სიძველეები, რომელიც საქართველოს საგანძურს წარმოადგენს, უფულობა შეცვალა ფულით და ფულმა კი ხალხის ნგრევა გამოიწვია. ადამიანებს დააკარგვინა სიყვარული, ერთმანეთის გატანა, ნდობა, სიძლიერე და სიმართლე. ძმა ძმას არ ელაპარაკება, მეზობელი მეზობელს, მეგობარი მეგობარს, ხან მიწას ვერ იყოფენ, ხან სახლებს, ხან კომპებს, ხან ტურისტებს. ფილმი იქნება დანგრევის პირას მისულ საგანძურზე, სვან ბავშვებზე, რომლებმაც სვანური ენა აღარ იციან, ინგლისურით შეცვალეს სვანური და ეს ერთ-ერთი უძველესი ენა მალე არავის ეცოდინება. ბავშვებზე, რომლებმაც ტურისტების დევნაში დაკარგეს ბავშვობა და თამაშზე აღარ ფიქრობენ, დიდები ბავშვებზე. აქ ყველა ფულზე ფიქრობს. ფილმი მოგვითხრობს ნაგვით სავსე ენგურსა და აჭრელებულ სახლებზე. ადამიანებზე, რომლებმაც იშოვეს ფული, მაგრამ დაკარგეს ყველაფერი. ფილმის მიზანია, ადამიანების რეალური სახის წარმოჩენა. ავტორი მიმართავს მომავალ თაობას - სანამ გვიანი არ არის, დააფასონ ერთმანეთი და სამშობლო.

ჯამბაზები - 60 წლის მოხეტიალე ჯამბაზს – ოლეგ თავაძეს საცირკო დასში, ორი მასზე უფროსი, წევრი დარჩა. ხანში შესული მსახიობები აუდიტორიის გართობას ვეღარ ახერხებენ. მათი ნომრები უკვე ორი წელია, თბილისის ცირკის არენაზე არ მოხვედრილა, ისინი აღარც „შაპიტოს“ დირექტორს მოსწონს. ერთადერთი იმედი წარმოდგენების ღრმა სოფლებში გამართვაა, მაგრამ იქიდან შემოსული თანხა ძალიან მცირეა. დასის გადასარჩენად ოლეგმა ახალგაზრდა შემცვლელის მოძებნა გადაწყვიტა, რომელსაც სასცენო ხელოვნებას თავად შეასწავლის და ცირკის არენაზე გაიყვანს.

იონას საქართველო - დასრულდა და საეთერო ბადეში განთავსდა სტუდია ეპოქას მიერ წარმოებული აკა მორჩილაძის სერიული ტიპის პროექტი „იონას საქართველო“. მწერალი აკა მორჩილაძე მოგზაურობს საქართველოს კუთხეებსა და ქალაქებში (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, თბილისი) და იონანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით მოგვითხრობს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური მდგომარეობის და ადამიანთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. მომზადდა და ეთერში განთავსდება „იონას საქართველოს 20 სერია“.

თბილისის კართან - მიმდინარეობს პროექტის „თბილისის კართან“ საწარმოო პროცესი. პროექტის მიზანია ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში თბილისის ზრდის, სახეცვლილების, კულტურული და სულიერი გადასხვაფერების ისტორიის წარმოჩენა, ერთგვარი ფიქსაცია აქცენტებისა, რომლებიც გადამწვეტი იყო თბილისის გარეგნული იერის და შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისათვის- თბილისის უბნების ისტორია, მათი განვითარების სურათები, სოციალური შემადგენლობა, იერი, სუბკულტურული მახასიათებლები. თბილისის გამქრალი ისტორიული ლოკაციები, ერთ დროს უმნიშვნელოვანესი, დღეს არსგამოცლილი, აღუნიშნავი ადგილები. ქალაქზე დაშენებული ქალაქი. თბილისის, როგორც ისტორიის სიკვდილი და ახალი ისტორიის შექმნა. ძველის და ახლის შედარება. კომუნისტების დროის თბილისი. პრინციპული ცვლილებები და შედეგები. პროექტი, სახელწოდებით „თბილისის კართან“, მოიცავს

თბილისის უბნებს: მეიდანს, ავლაბარი-ორთაჭალა, სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერა, ვაკე-საბურთალო, „პლენაროვი“, „ნახალოვკა“. სულ დაგეგმილია 8 სერიის გადაღება.

რადიო მამართულება

მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - რადიოს მიმართულებით:

რადიო ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურულ ერთეულად, რომელიც პორდაპირ ექვემდებარება გენერალურ დირექტორს.

რადიოს ფორმატირების ფარგლებში 2018 წლის მესამე კვარტალში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა შეასრულა მთელი რიგი სამუშაოები. შეისწავლა ახალ სამაუწყებლო ბადესთან არსებული გადაცემების/პროექტების თავსებადობა; პროექტების ნაწილი გადაფორმატების ფაზაში გადავიდა, ნაწილი დაიხურა; ბადის გარვეულ ზოლებზე გამოცხადდა ღია კონკურსი. გარდამავალი პროგრამირების გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც რადიო მაუწყებლობა სრულად არ გაჩერდა ბადეში დარჩა შესაბამისი კრიტერიუმებით შერჩეული პროექტები. ამასთან:

1. მიმდინარე საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემები და ახალი ამბები;
2. 2018 წლის ივლისში ბადის მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული ახალი პროექტები;
3. 2018 წლის ივლისში ბადის მოთხოვნების შესაბამისად კორექტირებული (ფორმატის, ქრონომეტრაჟის ცვლილება და აშ) პროექტები;
4. მექანიკური (მუსიკალური) პროდუქცია

კონკურსი გამოცხადდა 2018 წლის 3 სექტემბერს და გამარჯვებული პროექტების გამოვლენა განსაზღვრულია 30 ნოემბერს.

ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ აღსანიშნავი (მიღწევებიც და ჩავარდნებიც).

დაიხურა სატელევიზიო პროექტი „გურმანია“ - პროექტი, „გურმანია“ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა წამყვანმა თამთა კიკალიშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ „გურმანიას“ საპროექტო ვადა განსაზღვრული იყო 2019 წლის 1 აგვისტომდე, არსებული მოცემულობის გათვალისწინებით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა პროექტის არსებული ფორმატით გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, პროექტი დაიხურა. არსებული სტაფი გადანაწილდა დილისა და შუადღის პროექტებზე, რომლებიც ასევე მიკრო პროექტებს ახორციელებენ კულინარიის მიმართულების

სერიოზული პრობლემები და მათ დასაძლევად გადადგმული ნაბიჯები, მოგვარების გზები.

NON

მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები: უკვე დაწყებულის განვითარება, სხვა).

- მიმდინარეობს მომავალი 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმარება
- მიმდინარე სტადიაშია რადიოს კონკურსი. საბოლოო გადაწყვეტილება პროექტების შესახებ მიღებული იქნება 30 ნოემბერს.

- მიმდინარეობს პროექტის „რანინა“ წინა საწარმოო ფაზა
- მიმდინარეობს „საქართველოს ვარსკვლავის“ წინა საწარმოო ფაზა
- მიმდინარეობს პროექტის „თბილისის კართან“ წარმოების ეტაპი
- მიმდინარეობს დოკუმენტური სერიალის „სტოქსი“ პოსტ პროდაქშენის ფაზა
- მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის „ჯამბაზები“ პოსტ პროდაქშენის ფაზა
- მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის „უმგული, ჩემი სამოთხე“ პოსტ პროდაქშენის ფაზა
- მიმდინარეობს დოკ ფილმის „დელფინარიუმის“ წარმოება
- მიმდინარეობს დოკ ფილმის ინტერაქტივი“ წარმოება (კო პროდუქცია)
- რადიო არხების დაფარვის საკითხის შესწავლა და წინადადების მომზადება
- ინტერნეტ რადიოს შექმნის პროექტის დამუშავება

წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

2018 წლის III კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სეზონის გადაცემების „პირადი ექიმი“, „მარტივი ლოგიკა“, „ხარ თუ არა მე-6 კლასელზე ჭკვიანი“, და „წიგნების თარო“ მე 3-ე სტუდიიდან პირველ სტუდიაში გადმოტანასთან დაკავშირებით, ასევე ახალი პროექტების „პროგრამა დილა“ და „ნაშუადღევს“ პირდაპირ ეთერში გაშვების უზრუნველსაყოფად, პირველ სტუდიაში და სტუდია „ც“-ში ჩატარდა ტექნიკური საკომუტაციო და საინსტალაციო სამუშაოები.

მეორე კორპუსის ყოფილ საბავშვო სტუდიაში მოეწყო ახალი „კულინარიის სტუდია“, რისთვისაც მეექვსე სტუდიიდან (მეორე არხის ყოფილი სტუდია) მოიხსნა სამი სტუდიური კამერა და კამერის არხი, რომელიც დამონტაჟდა II-კორპუსის სტუდიაში. ასევე შეიცვალა ვიდეო მიქშერი დამონტაჟდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და ოპტიკური აუდიო-ვიდეო სიგნალების მიმღებ-გადამცემი და სტუდიური კავშირის მოწყობილობები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის II-კორპუსის სატელევიზიო სტუდია ახალი სასერვეროს და ცენტრალური სააპარატოს გავლით დაუკავშირდა პირველ კორპუსში განთავსებულ პირველ და „ც“-სტუდიებს, რამაც საშუალება მოგვცა აღნიშნული სტუდიიდან ვაწარმოთ პირდაპირი ეთერში მაუწყებლობა.

მე 2-ე სართულზე განთავსებული მაუწყებლის „პირველი რადიოს“ სტუდია ახალი აუდიო-ვიდეო კაბელებით დაუკავშირდა ტელევიზიის პირველ სტუდიას, ამან საშუალება მოგვცა განგვეხორციელებინა პირდაპირი ჩართვები „პირველი რადიოს“ სტუდიიდან პროგრამა „დილაში“ და ასევე „პირველი რადიოს“ ეთერში გავუშვათ პროგრამა „დილა“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სახურავზე მოწყობილი პირდაპირი ჩართვების მოედნებიდან ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატომდე და სასერვერომდე ჩაიდო ახალი ვიდეო და ელექტრო კვების კაბელები. აღნიშნულის მეშვეობით საინფორმაციო პროგრამა „მომამბეს“ მიეცა საშუალება განახორციელოს პირდაპირი სატელევიზიო ჩართვები ზემო აღნიშნული მოედნებიდან.

გავრცელების პლატფორმები, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

რადიომაუწყებლობა:

2018 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის და ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ რადიომაუწყებლობისათვის მომზადდა ალტერნატიული სიხშირული ბადე სიხშირეების კენტი დაბოლოებებით. ახალი სიხშირული გეგმა გაეგზავნა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“ გადამცემების სამუშაო პარამეტრების ცვლილებების წინასწარ შესათანხმებლად, რათა ახალი სიხშირეების მონიჭების შემთხვევაში პარამეტრების ცვლილებები მოხდეს მაუწყებლობის წყვეტის გარეშე და მოკლე ვადებში.

შპს „ტელერადიოცენტრთან“ ერთად, განხილულ იქნა საკითხი თუშეთის სოფელ ომალოში რადიომაუწყებლობის ჩართვის შესახებ. მომზადდა პროექტი მზის ენერჯიაზე მომუშავე რადიოსადგურის გასამართად. დაპროექტებული ახალი სადგური გაშვებულია ტესტირების სტადიაში.

რადიო „1 არხის“ და რადიო-2 „მუსიკა ევემ“ აუდიო სტრიმების ვებ პლატფორმიდან მოსმენისას ხდებოდა აუდიო სიგნალის დამახინჯება. რადიოს საეთერო სააპარატოდან მოწოდებულ სიგნალებს გაუკეთდათ შესაბამისი კორექტირება. რადიოს გამომსვლელი სიგნალის გამამრავლებელ ტრანსფორმატორებს გაუკეთდა სიგნალის დონის გამყოფი, რითიც აუდიო სტრიმის ხარვეზები აღმოიფხვრა.

რადიოს ცენტრალური სააპარატოდან სერვერამდე გაყვანილი იქნა ვიდეო სიგნალების მისაწოდებელი დამატებითი კაბელი. წრედი გამოყენებული იქნება რადიოს სტუდიაში მიმდინარე რადიოგადაცემების სატელევიზიო პროგრამებში ჩართვების უზრუნველყოფისთვის.

ტელემაუწყებლობა:

2018 წლის III კვარტალში ტელემაყურებელთაგან სულ შემოსულია 3 ზარი; 2 შემთხვევაში პროგრამის მიუღებლობა გამოწვეული იყო ტელემაყურებელთა მიზეზით, რაც მათ საკუთრებაში არსებული რესივერების გამოყენების პრაქტიკის უქონლობით იყო გამოწვეული. ტელეფონის მეშვეობით მათ მიეცათ ახსნა-განმარტება და პრობლემა მოგვარდა.

შპს. „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ვებ საიტზე არსებული მონიტორინგის გვერდზე განთავსებული ინფორმაციით ჩანს, რომ ისევ ხშირია სატელევიზიო გადამცემ საიტებზე და რეტრანსლატორებზე ელექტროენერჯის მიწოდების ხარვეზები, რაც ხშირად საეთერო მიკრო რეტრანსლატორების ტექნიკური გაჩერების მიზეზი ხდება.

სატელიტური პლატფორმა:

EBU FNRMIN ტერმინალის აპარატურას და პარაბოლურ ანტენას ჩაუტარდა პროფილაქტიკური შემოწმება, რეგულირება და გეგმიური მომსახურება. სისტემის პარამეტრები სრულად აკმაყოფილებს EBU-ს წვერი მაუწყებლისადმი მოთხოვნებს. გეგმიური განახლება ჩაუტარდა EBU-ს FEP სისტემის ციფრული მონაცემების მიმღებ სატელიტურ აპარატურას, რომლის მეშვეობითაც ხდება ფაილების მიღება და განთავსება მაუწყებლის FTP სერვერზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის

შეიქმნა და სატესტო რეჟიმში იქნა გაშვებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ე.წ. ჰელპ დესკი (Help desk)

უსაფრთხოების სისტემის მიმართულებით:

1. ახალი ნიუსრუმისთვის გაყვანილ იქნა 30 აქტიური (სულ 40) ხაზი (ქსელი) უსაფრთხოების კამერებისთვის 17 აქტიური (20) ნიუსრუმში, 12 აქტიური (20) საინფორმაციოს სამონტაჟოს სივრცეში.
2. ახალ ნიუსრუმში დამონტაჟდა და გააქტიურდა 17 უსაფრთხოების კამერა, 12 დამონტაჟდა და გააქტიურდა საინფორმაციოს სამონტაჟო სივრცეში.
3. მწყობრიდან გამოსული ქსელური ვიდეო ჩამწერის კვების ბლოკთან დაკავშირებული პრობლემის გამო ჩატარდა ტექნიკური სამუშაოები, მწყობრიდან გამოსული კვების ბლოკის ჩანაცვლება მოხდა მეორე მწყობრიდან გამოსული ქსელური ვიდეო ჩამწერიდან, გაიტესტა და უსაფრთხოების კამერების დამატება მოხდა, შედეგად მწყობრიდან გამოსული ქსელური ვიდეო ჩამწერის ამუშავდა.
4. მე-3 კორპუსში დამონტაჟდა უსაფრთხოების 6 კამერა. 2 აქტიური- შესასვლელში, 4 აქტიური - შენობაში
5. მე-3 კორპუსში უსაფრთხოების კამერებისთვის დამონტაჟდა სვიჩი და მოხდა მაგისტრალურ ქსელთან დაკავშირება
6. გარე პერიმეტრზე გაყვანილ იქნა 4 ხაზი (ქსელი) უსაფრთხოების კამერებისთვის
7. გარე პერიმეტრის ახალ წერტილებში დამონტაჟდა 4 უსაფრთხოების კამერა
8. მე-2 კორპუსში დამონტაჟდა და გააქტიურდა 2 უსაფრთხოების კამერა
9. საწყობის პერიმეტრზე მწყობრიდან გამოსული ანალოგური უსაფრთხოების კამერა ჩანაცვლდა ქსელური უსაფრთხოების კამერით, ასევე ამავე კამერისთვის ახალი ხაზის (ქსელი) გაყვანა და გააქტიურება
10. გარე პერიმეტრზე ანალოგური უსაფრთხოების კამერა ჩანაცვლდა ქსელური უსაფრთხოების კამერით, ასევე ამავე კამერისთვის ხაზის (ქსელი) გაყვანა და გააქტიურება მოხდა
11. პირველ კორპუსში უსაფრთხოების კამერებით აღჭურვილ იქნა სულ 36 ახალი წერტილი
12. მე-2 კორპუსში გაყვანილ იქნა 2 ხაზი (ქსელი) 2 უსაფრთხოების
13. მოხდა უსაფრთხოების კამერებისთვის მე-2 კორპუსში სვიჩის მონტაჟი და მაგისტრალურ ქსელთან დაკავშირება
14. ახალი ნიუსრუმის საინფორმაციოს სამონტაჟო სივრცეში დამონტაჟდა სვიჩი და მოხდა მაგისტრალურ ქსელთან დაკავშირება
15. პირველი კორპუსის მე-4 სართულზე მწყობრიდან გამოსული სვიჩი ჩანაცვლდა ახლით და მონიტორინგი აღდგა.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ყველა სამსახური აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში - ახორციელებს ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალის გაშიფვრას, ახალ მატარებელზე გადატანასა და ანოტირებას, ასევე უახლესი, მიმდინარე მასალის დაარქივებას. არქივი აქტიურად განაგრძობს მუშაობას, რათა საკუთარი რესურსით გაციფროს არსებული ფონდების თუნდაც უმცირესი ნაწილი მაინც. ორგანიზაციის „ფეისბუქ“ გვერდსა და „იუთუბ“ არხზე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ხერხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეო არქივში დაცული უნიკალური მასალების ფრაგმენტების ატვირთვა არქივის პოპულარიზაციის და მომხმარებლის ცნობიერების გაზრდის მიზნით.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2018 წლის III კვარტალში სულ შემოვიდა 33 განაცხადი. დაკმაყოფილდა 8 მომხმარებლის მოთხოვნა. სხვადასხვა მიზეზით, ვერ დაკმაყოფილდა 25 მოთხოვნა. გაყიდული მასალით საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 187 ლარი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის მონაცემთა სისტემის ერთიანი ბაზა საჭიროებს პერიოდულად წარმოქმნილი პრობლემებისა და შეფერხებების აღმოფხვრას, რაც შეუძლია მხოლოდ ამ ბაზის შემქმნელ პროგრამისტს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არქივის თანამშრომლები ა.წ. I კვარტალში შევხვდით ბაზის შემქმნელ პროგრამისტებს (რომლებიც ბაზის შესაქმნელად ერთჯერადი ხელშეკრულებით იყვნენ მოწვევულები) მაუწყებლის წარმოების და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკის ხელმძღვანელთან ერთად. დაიგეგმა თანამშრომლობის შემდგომი სტრატეგია.

არქივის ტექნიკური მდგომარეობა

არქივში არსებული თითქმის ყველა კომპიუტერი სრულიად ამორტიზებულია და ნებისმიერ დროს შეიძლება გამოვიდეს მწყობრიდან.

ერთადერთი რგოლი, სადაც მეტ-ნაკლებად ნორმალური კომპიუტერებია დამონტაჟებული, არის აუდიო ფონდი (ნაკლებად ამორტიზებული), მაგრამ აქაც პრობლემა ისაა, რომ საარქივო სტანდარტებით გაციფრისათვის ამ კომპიუტერებს არ ყოფნით სიმძლავრეები (დაკომპლექტებულია ჩვეულებრივი საოფისე კომპიუტერებით)

და სტუდიებში იძულებულნი არიან არსებული ანალოგური ჩანაწერები გაციფრონ CD ფორმატში, რაც არქივისათვის მიუღებელია.

ასევე, არქივში არ არის არცერთი ვიდეოს სამონტაჟოდ გამოსადეგი კომპიუტერი, ვიდეო მონტაჟი ხორციელდება ძველ და სუსტ კომპიუტერებზე, რაც თავის მხრივ იწვევს დროის დიდ დანაკარგებს და ტექნიკის ხშირ მწყობრიდან გამოსვლას.

ვიდეოს გასაშიფრ კომპიუტერებზე ჩანაწერების კონტროლისთვის სპეციალური მონიტორების ნაცვლად გამოიყენება ჩვეულებრივი ტელევიზორები, რაც იწვევს ოპერატორების გადაღლას და მხედველობისათვის ზიანის მომტანია.

ვინაიდან არქივში გაციფრისათვის გამოყენებული ანალოგური და ციფრული ტექნიკა (DVCAM, BETACAM, VHS, SVHS, ანალოგური აუდიო მაგნიტოფონები), ფაქტიურად მოხსნილია წარმოებიდან, მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მათი შეძენა ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს არქივის სამსახურის მუშაობის გაჩერებას.

არ გაგვაჩნია კინო ფირების გაციფრისათვის საჭირო დანადგარები, კინო ფონდში საჭიროების შემთხვევაში იძულებულნი არიან ფირიდან კომპიუტერში ინფორმაცია კუსტარული მეთოდებით გადაიტანონ.

ახლად დანერგილი ერთიანი მონაცემების ბაზა მოითხოვს ხარვეზების გასწორებას, რისთვისაც საჭიროა პროგრამის შემქმნელ ორგანიზაციასთან მოკლევადიანი სერვისული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება, რაც თავიდანვე საჭირო და აუცილებელი იყო, მაგრამ არ განხორციელდა.

სავალალო მდგომარეობაშია არქივის საცავები, სადაც ანალოგური მასალის ელემენტარული პირობებიც კი არაა შექმნილი, ხოლო ვიდეო არქივის საცავში ყოველი წვიმის დროს ჩამოდის წყალი, რომელიც საგრძნობლად აზიანებს და განადგურებით ემუქრება საცავში არსებულ მასალებს.

არქივს არ გააჩნია გაციფრული ინფორმაციის შესანახად საჭირო სერვერები.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, საჭიროდ ვთვლით არქივის ერთიან დიდ პროექტზე მუშაობის დაჩქარებას, ვინაიდან ამ პროექტის განხორციელების გარეშე საბოლოოდ დავკარგავთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა საარქივო მასალას.

ვიზუალური ფონდი

ვიდეო ფონდის ჯგუფი

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეომატარებლებიდან და კინო ფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე

გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ: 384 ჩანაწერი

